

**იცოდით, რომ შშმ ქალების შემთხვევაში, ძალადობის რისკი უფრო მაღალია?**

**თუ:**

ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ხართ

განიცდით სექსუალურ შევიწროებას ან ძალადობას

გაიძულებენ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ მუშაობას

**ან:**

იცნობთ ვინმეს, ვინც ძალადობის მსხვერპლია და დახმარება სჭირდება

**იცოდეთ, ვის მიმართოთ!**

სხვა აკონტროლებს თქვენს საბუთებს, ჩაცმულობას, ურთიერთობებს, გადაადგილებას, წვდომას თანხაზე, საკვებზე, ჯანმრთელობისა და განათლების სერვისებზე



საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“  
(პოლიცია, სასწრაფო, სახანძრო) - ცხელი ხაზი - 24/7 საათის განმავლობაში.  
გადმოწერეთ 112-ის აპლიკაცია, რომელიც უფასოა და ხელმისაწვდომია  
ქართულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, ასევე ყრუ და  
სმენადაქვეითებული პირებისთვის.



IOS-სთვის



ანდროიდისთვის

გამოიყენეთ SOS ღილაკი - ჩუმი  
განგაშის გაგზავნა 112-ში  
და ოპერატორთან მიმოწერა („ჩატი“).  
აპლიკაციის მთავარ უპირატესობას  
წარმოადგენს მოქალაქის  
ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ  
განსაზღვრა.

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკონსულტაციო ცხელი ხაზი „116 006“

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის  
(ტრეფიკინგის) საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი, სადაც 24/7-ზე შესაძლებელია  
კონსულტაციების მიღება უფასოდ შემდეგ ენებზე: ქართული, ინგლისური, უკრაინული,  
აზერბაიჯანული, თურქული, სომხური, არაბული, სპარსული და რუსული.

ქვეყნის მასშტაბით მუშაობს თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები, სადაც ძალადობის  
მსხვერპლებს, მათ შორის, შშმ პირებს, სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ.